

**კვლევითი პროექტის „ჩაშენებული სისტემების სწავლება საქართველოში“ (მბედდედ
შესტემ დუცატიონ ინ ეორგია) ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები
(ქართულ ენაზე)**

ია მოსაშვილი - „ჩაშენებული სისტემების სწავლება საქართველოში“ (მბედდედ შესტემ დუცატიონ
ინ ეორგია) - პროექტის მონაწილე.

სამეცნიერო შედეგები:

- პროექტის მონაწილეთა გადამზადება;
- საბაკალავრო თემებზე მუშაობა კაიზერსლაუტერნის უნივერსიტეტში, გერმანია;
- ახალი კურიკულუმის განვითარება;
- ახალი სასწავლო კურსების დანერგვა;
- ჩაშენებული სისტემები ლაბორატორიული აღჭურვილობის შექმნა/დანერგვა;
- ჩაშენებული მართვის სისტემების ლაბორატორიის მოწყობა/იმპლემენტაცია;
- პროექტის პირველი ფაზის დროს შექმნილი სასწავლო მასალების განახლება;
- პროექტის შედეგების გავრცელება;

კონკრეტული აქტივობები:

- პროექტის პირველი ფაზის მონაწილეთა მიერ (ია მოსაშვილი, დავით მხეიძე) განხორციელდა ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადება ჩაშენებული სისტემების მიმართულებით;
- სტუ-ს 2 ბაკალავრი სტუდენტი შეირჩა და გაიგზავნა კაიზერსლაუტერნის ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო პროექტებზე სამუშაოდ; მათ ხელმძღვანელობდნენ გერმანელ კოლეგებთან ერთად სტუ-ს პროფესორები (ასოც. პროფ. ია მოსაშვილი, მოწვეული ასოც. პროფ. დავით მხეიძე). მათ მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია წარმატებით განხორციელდა გერმანიაში, აღნიშნულ უნივერსიტეტში;
- მოხდა ჩაშენებული სისტემების ლაბორატორიის აღჭურვა ახალი აპარატურით.
- შესაბამის აპარატურასთან სამუშაოდ გერმანიაში გადამზადდა სტუ-ს პროფესორები (ასოც. პროფ. ია მოსაშვილი, მოწვეული ასოც. პროფ. დავით მხეიძე), ასევე ქუთაისის უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგები: გიორგი ჩაჩუა და თეიმურაზ სახელაშვილი.